საქართველოს მთავრობის

დადგენილება №302

2017 წლის 22 ივნისი

ქ. თბილისი

მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსების სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ

[მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ფიზიკური პირის, ინდივიდუალური მეწარმისა და იურიდიული პირის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ *(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)]*

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №489 – ვებგვერდი, 14.12.2023წ.

მუხლი 1

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (13/04/2016, №4951-IIს) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს:

1. მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსების სერტიფიცირების წესი.

2. მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსის სერტიფიკატის ფორმა (დანართი 1).

3. მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსის მოწმობის ფორმა (დანართი 2).

[1. მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ფიზიკური პირის, ინდივიდუალური მეწარმისა და იურიდიული პირის სერტიფიცირების წესი.

2. მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ფიზიკური პირის სერტიფიკატის ფორმა (დანართი 1).

3. მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ინდივიდუალური მეწარმისა და იურიდიული პირის სერტიფიკატის ფორმა (დანართი 2).

4. მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ფიზიკური პირის მოწმობის ფორმა (დანართი 3).

(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)]

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №489 – ვებგვერდი, 14.12.2023წ.

მუხლი 2

სერტიფიცირების ვალდებულება 2019 წლის 1 იანვრამდე არ ვრცელდება იმ ტექნიკოსებზე, რომლებიც ემსახურებიან 3 კგ-ზე ნაკლებ მაცივარაგენტზე მომუშავე ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობებს ან/და თბურ ტუმბოებს.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსების სერტიფიცირების წესი

მუხლი 1. მიზანი

მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსების სერტიფიცირების წესის (შემდგომში – წესი) მიზანია, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) შესაბამისად, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნების, ასევე ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობების ან თბური ტუმბოების უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობების ან თბური ტუმბოების მომსახურე ტექნიკოსთა სერტიფიცირებასთან (შემდგომში – სერტიფიცირება) დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება.

მუხლი 2. რეგულირების სფერო

ამ წესის მოქმედება ვრცელდება იმ ტექნიკოსებზე, რომლებიც ემსახურებიან ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობების ან თბურ ტუმბოებს.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 4. სერტიფიცირების ჩატარებაზე უფლებამოსილი ორგანო

1. სერტიფიცირების ჩატარებასა და შესაბამისი სერტიფიკატის/მოწმობის გაცემას კანონისა და ამ წესის შესაბამისად უზრუნველყოფს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (შემდგომში – ცენტრი).

2. წერითი ტესტირების მეთოდით სასერტიფიკატო გამოცდის ჩატარების შემთხვევაში, ცენტრის დირექტორის ბრძანებით, ცენტრის თანამშრომლებისა და მიწვეული პირებისგან იქმნება სასერტიფიკაციო-საგამოცდო კომისია (შემდგომში – კომისია). კომისია შედგება არანაკლებ 4 წევრისაგან. კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს ცენტრის დირექტორი.

3. სასერტიფიკატო გამოცდის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, ცენტრის დირექტორის ბრძანებით, შესაბამისი უფლებამოსილება ენიჭება ცენტრის თანამშრომელს/თანამშრომლებს.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 მაისის დადგენილება №237 – ვებგვერდი, 22.05.2018წ.

მუხლი 5. სერტიფიცირების ჩატარების წესი და პირობები

1. სერტიფიცირება ხორციელდება სასერტიფიკატო გამოცდის გზით, წერითი ტესტირების ან ელექტრონული ტესტირების მეთოდით.

2. სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს ფიზიკურ პირს.

3. სასერტიფიკატო გამოცდაში მონაწილეობის მიღების საფასურია 50 ლარი, რომელიც მიემართება ცენტრის ანგარიშზე.

4. სასერტიფიკატო გამოცდაზე რეგისტრაციისთვის პირმა ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირ(ებ)ს უნდა წარუდგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/პასპორტი;

ბ) ფოტოსურათი 3/4-ზე (CD დისკზე), ფოტოსურათის წარუდგენლობის შემთხვევაში დასაშვებია ფოტოსურათის ადგილზე გადაღება;

გ) სასერტიფიკატო გამოცდის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. სასერტიფიკატო გამოცდაზე რეგისტრაცია ხორციელდება ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ, გამოცდის დაწყებამდე, გამოცდის ჩატარების ადგილზე.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში პირი გამოცდაზე არ დაიშვება.

7. გამოცდის ჩატარების თარიღები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ბრძანებით.

8. ინფორმაცია სასერტიფიკატო გამოცდის ჩატარების, ასევე გამოცდის შედეგების (სერტიფიცირებული პირების) შესახებ ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.eiec.gov.ge).

9. გამოსაცდელი პირის გამოცდიდან მოხსნის ან მის მიერ უარყოფითი საგამოცდო შეფასების მიღების შემთხვევაში, გადახდილი სასერტიფიკატო გამოცდის საფასური უკან არ ბრუნდება. სასერტიფიკატო გამოცდაზე განმეორებით გასვლის შემთხვევაში სასერტიფიკატო გამოცდის საფასური გადაიხდება ხელახლა.

მუხლი 6. სასერტიფიკატო გამოცდა

1. სასერტიფიკატო გამოცდა ტარდება ერთ ეტაპად. მსურველთა რაოდენობის გათვალისწინებით, გამოსაცდელთა მიღება შეიძლება მოხდეს ნაკადებად.

2. საგამოცდო ტესტი შედგება 30 კითხვისგან.

3. ელექტრონული ტესტირების შემთხვევაში გამოცდა ტარდება სპეციალური პროგრამის მეშვეობით. თითოეული გამოსაცდელი პირისათვის შესაბამისი ტესტის შერჩევა ხორციელდება სპეციალური პროგრამის მეშვეობით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. გამოსაცდელმა პირმა მონიტორზე გამოსახული თითოეული საგამოცდო ტესტის სავარაუდო პასუხიდან უნდა აირჩიოს და დააფიქსიროს მხოლოდ ერთი პასუხი. მონიტორზე აისახება საგამოცდო ტესტზე გაცემული როგორც სწორი, ასევე არასწორი პასუხების რაოდენობა. გამოსაცდელი პირის მიერ საგამოცდო ტესტზე გაცემული პასუხების შეჯამება და გამოცდის შედეგის შეფასება ხორციელდება სპეციალური პროგრამის მიერ. კანდიდატისათვის გამოცდის შედეგი ცნობილი ხდება საგამოცდო ტესტის სამუშაო დროის ამოწურვისთანავე ან ტესტის დასრულებისთანავე, კომპიუტერის მონიტორზე შედეგის ასახვის გზით.

4. წერითი ტესტირების შემთხვევაში კომისია სასერტიფიკატო გამოცდის შედეგებს აფასებს და შედეგების შესახებ გამოცდაში მონაწილე პირებს აცნობებს გამოცდის ჩატარებიდან 8 სამუშაო დღეში, წერილობით, ელექტრონული ფოსტის ან სატელეფონო საშუალებით.

5. სასერტიფიკატო გამოცდის ხანგრძლივობაა 45 წუთი.

6. საგამოცდო საკითხების ჩამონათვალი ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.eiec.gov.ge).

7. სასერტიფიკატო გამოცდის მიმდინარეობისას გამოსაცდელს ეკრძალება:

ა) ნორმატიული აქტების, კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოების, ჩანაწერების ან სხვა მასალის გამოყენება;

ბ) ტექნიკური საშუალებების, მათ შორის, მობილური ტელეფონის შეტანა, გამოყენება;

გ) დახმარების გაწევა ან მიღება, სხვა პირისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში გამოსაცდელი პირი მოიხსნება გამოცდიდან და გამოცდის საფასური უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

მუხლი 7. სასერტიფიკატო გამოცდის შედეგები

1. ყოველ საგამოცდო ტესტზე სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, ხოლო არასწორი პასუხი 0 ქულით.

2. დადებითი შეფასების მისაღებად გამოსაცდელმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 27 ქულა.

მუხლი 8. სერტიფიკატისა და მოწმობის გაცემა

1. ელექტრონული ტესტირების შემთხვევაში გამოსაცდელი პირის მიერ სასერტიფიკატო გამოცდაზე დადებითი შეფასების მიღებისას ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ი არაუგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს ცენტრის დირექტორს, რომელიც არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა გამოსცემს ბრძანებას წარმატებით გამოცდაჩაბარებულ პირებზე, მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსის სერტიფიკატისა და მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსის მოწმობის გაცემის შესახებ.

2. წერითი ტესტირების შემთხვევაში გამოსაცდელი პირის მიერ სასერტიფიკატო გამოცდაზე დადებითი შეფასების მიღებისას ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომისიის თავმჯდომარე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს ცენტრის დირექტორს, რომელიც არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა გამოსცემს ბრძანებას წარმატებით გამოცდაჩაბარებულ პირებზე, მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსის სერტიფიკატისა და მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსის მოწმობის გაცემის შესახებ.

3. დამზადებული სერტიფიკატი და მოწმობა გაიცემა ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებული ბრძანების გამოცემიდან 10 სამუშაო დღეში. სერტიფიცირებული პირის სურვილის შემთხვევაში დასაშვებია სერტიფიკატისა და მოწმობის მისთვის ფოსტის მეშვეობით გაგზავნა, დამატებით ფოსტის მომსახურების ღირებულების გადახდის შემთხვევაში.

4. სერტიფიკატი გაიცემა 3 წლის ვადით.

5. 2018 წლის 1 იანვრამდე გაცემული სერტიფიკატების/მოწმობების მოქმედების სამწლიანი ვადის ათვლა დაიწყება 2018 წლის 1 იანვრიდან, ხოლო 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ გაცემული სერტიფიკატები/მოწმობები ძალაში შევა ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებული ბრძანების გამოცემის თარიღიდან.

6. სერტიფიკატის ან მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მისი დუბლიკატი გაიცემა ცენტრის მიერ, სერტიფიკატის მფლობელის განცხადებისა და დუბლიკატის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საბუთის ცენტრში წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. დუბლიკატს ზედა მარჯვენა კუთხეში უკეთდება წარწერა – „დუბლიკატი“. დუბლიკატის გაცემის საფასურია 19 ლარი, რომელიც მიემართება ცენტრის ანგარიშზე.

7. დუბლიკატის გაცემა არ გულისხმობს სერტიფიკატის/მოწმობის მოქმედების სამწლიანი ვადის ხელახალ ათვლას.

მუხლი 9. სასერტიფიკატო გამოცდის შედეგების გასაჩივრება

სასერტიფიკატო გამოცდის შედეგების გასაჩივრება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

[დანართი

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №489 – ვებგვერდი, 14.12.2023წ.

მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ფიზიკური პირის, ინდივიდუალური მეწარმისა და იურიდიული პირის სერტიფიცირების წესი

მუხლი 1. მიზანი

მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ფიზიკური პირის, ინდივიდუალური

მეწარმისა და იურიდიული პირის სერტიფიცირების წესის (შემდგომში – წესი) მიზანია, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში –კანონი) შესაბამისად, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნების, ასევე ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობების ან თბური ტუმბოების უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობების ან თბური ტუმბოების მომსახურე ფიზიკური პირების, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირების სერტიფიცირებასთან (შემდგომში – სერტიფიცირება) დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება.

მუხლი 2. რეგულირების სფერო

ამ წესის მოქმედება ვრცელდება იმ ფიზიკურ პირზე, ინდივიდუალურ მეწარმესა და იურიდიულ პირზე, რომლებიც ემსახურებიან ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობებს ან თბურ ტუმბოებს.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 4. სერტიფიცირების ჩატარებაზე უფლებამოსილი ორგანო

1. სერტიფიცირების ჩატარებასა და შესაბამისი სერტიფიკატის/მოწმობის გაცემას კანონისა და ამ წესის შესაბამისად უზრუნველყოფს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (შემდგომში – ცენტრი).

2. წერითი ტესტირების მეთოდით სასერტიფიკატო გამოცდის ჩატარების შემთხვევაში, ცენტრის დირექტორის ბრძანებით, ცენტრის თანამშრომლებისა და მიწვეული პირებისგან იქმნება სასერტიფიკაციო-საგამოცდო კომისია (შემდგომში – კომისია). კომისია შედგება არანაკლებ 4 წევრისაგან. კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს ცენტრის დირექტორი.

3. სასერტიფიკატო გამოცდის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, ცენტრის დირექტორის ბრძანებით, შესაბამისი უფლებამოსილება ენიჭება ცენტრის თანამშრომელს/თანამშრომლებს.

მუხლი 5. მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ფიზიკური პირის სერტიფიცირების ჩატარების წესი და პირობები

1. სერტიფიცირება ხორციელდება სასერტიფიკატო გამოცდის გზით, წერითი ტესტირების ან ელექტრონული ტესტირების მეთოდით.

2. სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს ფიზიკურ პირს.

3. სასერტიფიკატო გამოცდაში მონაწილეობის მიღების საფასურია 100 ლარი, რომელიც მიემართება ცენტრის ანგარიშზე.

4. სასერტიფიკატო გამოცდაზე რეგისტრაციისთვის პირმა ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირ(ებ)ს უნდა წარუდგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/პასპორტი;

ბ) ფოტოსურათი ¾-ზე (CD დისკზე);

გ) სასერტიფიკატო გამოცდის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. სასერტიფიკატო გამოცდაზე რეგისტრაცია ხორციელდება ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ, გამოცდის დაწყებამდე, გამოცდის ჩატარების ადგილზე.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში პირი გამოცდაზე არ დაიშვება.

7. ინფორმაცია სასერტიფიკატო გამოცდის ჩატარების, ასევე გამოცდის შედეგების (სერტიფიცირებული პირების) შესახებ ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.eiec.gov.ge).

8. გამოსაცდელი პირის გამოცდიდან მოხსნის ან მის მიერ უარყოფითი საგამოცდო შეფასების მიღების შემთხვევაში გადახდილი სასერტიფიკატო გამოცდის საფასური უკან არ ბრუნდება. სასერტიფიკატო გამოცდაზე განმეორებით გასვლის შემთხვევაში სასერტიფიკატო გამოცდის საფასური გადაიხდება ხელახლა.

მუხლი 6. ფიზიკური პირის სასერტიფიკატო გამოცდა

1. სასერტიფიკატო გამოცდა ტარდება ერთ ეტაპად. მსურველთა რაოდენობის გათვალისწინებით, გამოსაცდელთა მიღება შეიძლება მოხდეს ნაკადებად.

2. საგამოცდო ტესტი შედგება 30 კითხვისგან.

3. ელექტრონული ტესტირების შემთხვევაში გამოცდა ტარდება სპეციალური პროგრამის მეშვეობით. თითოეული გამოსაცდელი პირისათვის შესაბამისი ტესტის შერჩევა ხორციელდება სპეციალური პროგრამის მეშვეობით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. გამოსაცდელმა პირმა მონიტორზე გამოსახული თითოეული საგამოცდო ტესტის სავარაუდო პასუხიდან უნდა აირჩიოს და დააფიქსიროს მხოლოდ ერთი პასუხი. მონიტორზე აისახება საგამოცდო ტესტზე გაცემული, როგორც სწორი, ასევე არასწორი პასუხების რაოდენობა. გამოსაცდელი პირის მიერ საგამოცდო ტესტზე გაცემული პასუხების შეჯამება და გამოცდის შედეგის შეფასება ხორციელდება სპეციალური პროგრამის მიერ. კანდიდატისათვის გამოცდის შედეგი ცნობილი ხდება საგამოცდო ტესტის სამუშაო დროის ამოწურვისთანავე ან ტესტის დასრულებისთანავე, კომპიუტერის მონიტორზე შედეგის ასახვის გზით.

4. წერითი ტესტირების შემთხვევაში კომისია სასერტიფიკატო გამოცდის შედეგებს აფასებს და შედეგების შესახებ გამოცდაში მონაწილე პირებს აცნობებს გამოცდის ჩატარებიდან 8 სამუშაო დღეში წერილობით, ელექტრონული ფოსტის ან სატელეფონო საშუალებით.

5. სასერტიფიკატო გამოცდის ხანგრძლივობაა 45 წუთი.

6. საგამოცდო საკითხების ჩამონათვალი ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.eiec.gov.ge).

7. სასერტიფიკატო გამოცდის მიმდინარეობისას გამოსაცდელს ეკრძალება:

ა) ნორმატიული აქტების, კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოების, ჩანაწერების ან სხვა მასალის გამოყენება;

ბ) ტექნიკური საშუალებების, მათ შორის, მობილური ტელეფონის შეტანა, გამოყენება;

გ) დახმარების გაწევა ან მიღება, სხვა პირისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში გამოსაცდელი პირი მოიხსნება გამოცდიდან და გამოცდის საფასური უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

მუხლი 7. ფიზიკური პირის სასერტიფიკატო გამოცდის შედეგები

1. ყოველ საგამოცდო ტესტზე სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, ხოლო არასწორი პასუხი – 0 ქულით.

2. დადებითი შეფასების მისაღებად გამოსაცდელმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 27 ქულა.

მუხლი 8. ფიზიკური პირის სერტიფიკატისა და მოწმობის გაცემა

1. ელექტრონული ტესტირების შემთხვევაში გამოსაცდელი პირის მიერ სასერტიფიკატო გამოცდაზე დადებითი შეფასების მიღებისას ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ი არაუგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს ცენტრის დირექტორს, რომელიც არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა გამოსცემს ბრძანებას წარმატებით გამოცდაჩაბარებულ პირებზე, მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ფიზიკური პირის სერტიფიკატისა და მოწმობის გაცემის შესახებ.

2. წერითი ტესტირების შემთხვევაში გამოსაცდელი პირის მიერ სასერტიფიკატო გამოცდაზე დადებითი შეფასების მიღებისას ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომისიის თავმჯდომარე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს ცენტრის დირექტორს, რომელიც არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა გამოსცემს ბრძანებას წარმატებით გამოცდაჩაბარებულ პირებზე, მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ფიზიკური პირის სერტიფიკატისა და მოწმობის გაცემის შესახებ.

3. დამზადებული სერტიფიკატი და მოწმობა გაიცემა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ბრძანების გამოცემიდან 10 სამუშაო დღეში. სერტიფიცირებული პირის სურვილის შემთხვევაში, დასაშვებია სერტიფიკატისა და მოწმობის მისთვის ფოსტის მეშვეობით გაგზავნა, დამატებით საფოსტო მომსახურების ღირებულების 15 ლარის ოდენობით გადახდის შემთხვევაში.

4. ფიზიკური პირის სერტიფიკატი გაიცემა 5 წლის ვადით.

5. სერტიფიკატის ან მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მისი დუბლიკატი გაიცემა ცენტრის მიერ, სერტიფიკატის მფლობელის განცხადებისა და დუბლიკატის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საბუთის ცენტრში წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. დუბლიკატს ზედა მარჯვენა კუთხეში უკეთდება წარწერა – „დუბლიკატი“. დუბლიკატის გაცემის საფასურია 25 ლარი, რომელიც მიემართება ცენტრის ანგარიშზე. დუბლიკატის გაცემა არ გულისხმობს სერტიფიკატის/მოწმობის მოქმედების ვადის ხელახალ ათვლას.

მუხლი 9. მეწარმის სერტიფიცირების წესი და პირობები

1. მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ინდივიდუალური მეწარმისა და იურიდიული პირის სერტიფიკატი (შემდგომში – მეწარმის სერტიფიკატი) გაიცემა იმ ინდივიდუალურ მეწარმესა და იურიდიულ პირზე, რომლებიც ახორციელებენ მონრეალის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების შეძენას/გასხვისებას, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობებზე ან თბურ ტუმბოებზე სერვისულ ან სხვა სახის მომსახურებას.

2. ინდივიდუალურ მეწარმესა და იურიდიულ პირზე მეწარმის სერტიფიკატი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას ახორციელებს ერთი ან რამდენიმე დაქირავებული სერტიფიცირებული ფიზიკური პირის მეშვეობით.

3. თუ ინდივიდუალური მეწარმე დაქირავებული პირ(ებ)ის გარეშე ახორციელებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას, მას ამ საქმიანობის გაწევის უფლება აქვს მასზე გაცემული ფიზიკური პირის სერტიფიკატით, სხვა შემთხვევაში ინდივიდუალური მეწარმე ვალდებულია, აიღოს მეწარმის სერტიფიკატი.

4. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინდივიდუალური მეწარმისა და იურიდიული პირის სერტიფიცირება სავალდებულოა.

5. მეწარმის სერტიფიკატის მისაღებად ინდივიდუალურმა მეწარმემ ან იურიდიულმა პირმა უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება სერტიფიკატის მიღების თაობაზე;

ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

გ) მასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ყველა ფიზიკური პირის სერტიფიკატისა და მოწმობის

ასლი, მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მასთან შრომითი ურთიერთობის დამადასტურებელი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი;

დ) ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ფიზიკური პირის სერტიფიკატი;

ე) სერტიფიკატის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცენტრის თანამშრომელი/თანამშრომლები 2 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებენ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეს და ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, ცენტრის დირექტორი არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, გამოსცემს ბრძანებას მეწარმის სერტიფიკატის გაცემის შესახებ.

7. დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის ან არასრულყოფილად წარდგენილი დოკუმენტაციის შემთხვევაში, განმცხადებელს ცენტრის დირექტორი წერილობითი ფორმით განუსაზღვრავს არანაკლებ 5 სამუშაო დღეს დაზუსტების ან დოკუმენტაციის წარდგენისათვის, ხოლო დაუზუსტებლობის ან/და დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ცენტრი განცხადებას ტოვებს განუხილველად, რის შესახებაც წერილობით აცნობებს განმცხადებელს. ამ შემთხვევაში, სერტიფიკატის მისაღებად გადახდილი საფასური განმცხადებელს უკან არ დაუბრუნდება.

8. სერტიფიცირების საფასურია 300 ლარი, რომელიც მიემართება ცენტრის ანგარიშზე.

9. მეწარმის სერტიფიკატი გაიცემა სერტიფიკატის გაცემის შესახებ დირექტორის ბრძანების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში და მოქმედებს ბრძანების ძალაში შესვლიდან 3 წლის ვადით.

10. სერტიფიცირებული იურიდიული პირების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.eiec.gov.ge).

მუხლი 10. სასერტიფიკატო გამოცდის შედეგების გასაჩივრება

სასერტიფიკატო გამოცდის შედეგების გასაჩივრება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ***(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)]***

დანართი 1

მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსის სერტიფიკატის ფორმა


სერტიფიკატი

№

გაცემულია

№ გაცემის თარიღი

მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსის
სასერტიფიკატო გამოცდის წარმატებით ჩაბარებისათვის

მოქმედების ვადა: -დან
-მდე

[დანართი 1

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №489 – ვებგვერდი, 14.12.2023წ.

მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ფიზიკური პირის სერტიფიკატის ფორმა



სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

სერტიფიკატი

№ _____

გადაეცემა

_____

(სახელი)

საიდენტიფიკაციო № _____

მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ფიზიკურ პირს

მოქმედების ვადა _____-დან

_____-მდე

_____

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი

ბ.ა

(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)]

დანართი 2

მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსის მოწმობის ფორმა



მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების
მომსახურე ტექნიკოსის მოწმობა

სახელი

გვარი

დაბადების თარიღი

პირადი №

№

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი

დირექტორი:
ბ.ა.
მოქმედების ვადა: -დან
-მდე

[დანართი 2

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №489 – ვებგვერდი, 14.12.2023წ.

მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ინდივიდუალური მეწარმისა და იურიდიული პირის სერტიფიკატის ფორმა

სსიპ გარემოსდაცვითი
ინფორმაციისა და
განათლების ცენტრი

სერტიფიკატი

№ _____

გადაეცემა

_____
(სახელი)

საიდენტიფიკაციო № _____

მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე
ინდივიდუალურ მეწარმესა და იურიდიულ პირს

მოქმედების ვადა _____-დან
_____-მდე

_____
სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და
განათლების ცენტრის დირექტორი
ბ.ა

(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)]

[დანართი 3

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №489 – ვებგვერდი, 14.12.2023წ.]

მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ფიზიკური პირის მოწმობის ფორმა

მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე
ფიზიკური პირის მოწმობა

სახელი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

გვარი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

დაბადების თარიღი _ _ _ _ _ _

პირადი № _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

№ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

სსიპ გარემოსდაცვითი
ინფორმაციისა და
განათლების ცენტრი

**სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი**

დირექტორი:

ბ.ა.

მოქმედების ვადა: _ _ _ _ _ _ _ **- დან**

_ _ _ _ _ _ _ **- მდე**

(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)]